№ 232
ოქტომბრის 31, ხუთშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 232
ოქტომბრის 31, ხუთშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:— ანტონ კასრაძესთან.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჭღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ერევნის მოედანი, № 3.

ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

(საკუთრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა)

დასაჩუქრებული უმაღლესის ჯილდოებით.

ფოტოგრაფიას მოეპოვება მრავალგვარი კოლექცია კავკასიურ ტიპებისა და ბუნების სურათებისა, აგრეთვე ახლად გადაღებული სურათები **საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებისა.**

ფოტოგრაფია ჰკისრულობს ყოველგვარს სამუშაოს იაფ ფასად: სურათების გადაღებას და უკვე გადაღებულის სურათების გადიდებას.

ფოტოგრაფიაში იყიდება ახალი სურათი **შოთა რუსთაველისა,** გადმოღებული მხატვრის ბუროვის სურათიდან, და აგრეთვე სურათები ჩვენის მწერლებისა და არტისტებისა.
(3—მ—3)

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

„მოგზაურზედ“

1903 წელს ჟურნალი **„მოგზაური“** გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით. მასში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო, საისტორიო და სხვა გვარი წერილები. ყოველ საუკეთესო წერილს რედაქცია იმავ დროს ცალკე იაფ-ფასიან წიგნადაც გამოსცემს ხალხში მრავლად გასავრცელებლად. ეს გარემოება იმედია აამოძრავებს მთლად ჩვენს სახალხო მწერლებს და ბევრს ისეთებსაც აღებინებს კალამს ხელში, რომელთაც აქამდის სრულიად დაკარგული ჰქონდათ ხალისი ხალხისათვის წერისა, რადგანაც გამომცემელი არ ეშოვებოდათ. იმედია ამ გვარადვე არც მკითხველი საზოგადოება მიეგებება გულ-გრილად ჩვენს ასეთს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს როგორც ხელის-მოწერით, ისე წიგნების გავრცელებით ხალხში (ერთმა პატივცემულმა გვამმა რა ნახა ჩვენი იაფ-ფასიანი წიგნები, მაშინვე იყიდა სამი მანეთისა სოფელში მუქთად დასარიგებლად).

მოხსენებულის თანახმად „მოგზაურის“ რედაქციამ ამ ორს თვეში უკვე გამოსცა ხუთმეთზედ მეტი შაურიანი წიგნი, ვითარცა: „წერილი სოფლელ მუშას“, „დიფტერიტი“, „დედა-აზრი მეცნიერებისა“, „თეოლოგია, ფილოსოფია და მეცნერება“, „რა არის გონებითი გახსნა განვითარება“, „პურის მოყვანა ჩინურ-იაპონურის წესით“, «რისგან იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები“, „დანაშაულობა-დამნაშავენი“, „რაშია ბედნიერება“, „სარკე გურულთა ცხოვრებისა“, „აბრასკილი“, „მეურნეობა და პირადი მუშაობა-მოქმედება“, „როგორ არჩენენ ადამიანებს დანით“, „სულით ავადმყოფი მოსწავლენი“ და სხვ. და სხვა. პირველი და მეორე ნომერი „მოგზაურისა“ გამოვა იანვრის პირველს რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა იგივეა, ე. ი. 5 **მან.** გაგზავნით. მასწავლებელთათვის და ხელმოკლე დაწესებულებათათვის—4 **მან.**

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს თბილისს ამ ადრესით: въ Тифлисъ, редакціи „Могзаури“ (Межев. № 72).
(6—1)

რედაქტორ-გამომცემელი ივანე როსტომაშვილი.

№ 10. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 31 ოკდომბერს, 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ცნობილი პიესა.

I

პედაგოგები

კომედია 3 მოქ. ოტტო ემსტისა, თარგ. დ. ნახუცრიშვილისა.

II

დათვი

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, როსტომიანი და სხ.; ბ-ნნი: **ვ. აბაშიძე,** დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ქლენტი, ლანდი, ანანიაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე; პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე; გალერეია 25 კ.-დან 45 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ხალხის მტერი“, „დენიზა“, „მუშაკი და ნებიერი“,

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.
წლ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შაპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებივ მან. 5 მანეთამდე.
(წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ პარასკევს, 1 ნოემბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა. განსახილველია შემდეგი საყურადღებო საგნები: 1) კომისიის აზრი ს. ნ. ტიმოფეევის მოხსენების შესახებ სასოფლო-სამეურნეო განათლების თაობაზედ, 2) მოხსენება გ. დ. ჟურულისა კოოპერაციების განვითარების შესახებ ევროპაში და 3) მოხსენება თ. ლ. გ. ჯანდიერისა, როგორ იქმნას დაცული ადგილ-მამული პატრონთაგან. კრებაზედ არა წევრთაც ნება აქვთ დაესწრნენ.

◆ ქართველთა და სომეხთა პუბლიცისტების პოლემიკამ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობის შესახებ გამოიწვია პროფესორის ელიაზარიანის წერილი, რომლის დასაწყისი დაბეჭდილია სომხურ გაზეთ „ნორდარ“-ს №158-ში ჩვენი რედაქცია ეცდება პატივცემულის პროფესორის წერილები გადმოსთარგმნოს და მით შეძლება, მისცეს „ივერიის“ მკითხველთ ამ საქმის უფრო დაახლოვებით გაცნობისა.

◆ ქუთაისიდან გვწერენ: ამ დღეებში ექიმმა გ. ლ. ქორქაშვილმა წარუდგინა სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტს მოხსენება ქუთაისის გუბერნიაში ერობის შემოღების აუცილებლობის შესახებ.

სულითა და გულით ვუერთდებით რა წინადადების ავტორის აზრს, სასურველად მიგვაჩნია, რომ იმავ კომიტეტს წარუდგენდეს გუბერნიის მარშალი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე კოპიოებს იმ შუამდგომლობათა, რომელნიც თავ. ს. გ. წერეთლის მარშლობის დროს იქმნა აღძრული უმაღლეს მმართველობის წინაშე შესახებ საერობო და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღებისა ქუთაისის გუბერნიაში.

ერობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტები ისეთს უპირველეს საჭიროებას შეადგენს ჩვენის ხალხისათვის, რომ სასურველია თვით გუბერნიის კომიტეტიც უპირველესვე ყურადღებას მიაპყრობდეს მათ და უმთავრესს მეცადინეობას მათის შემოღებისათვის საჭირო დასაბუთებულ მოხსენებათა შედგენას და მეცადინეობას მოანდომებდეს.

◆ გაზეთს „ცნობ. ფურც.“-ში სწერია, რომ ვითომ ბ-ნს ლამარკს, ამერიკელ კაპიტალისტების წარმომადგენელს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა კახეთიდან, კახეთის რკინის გზის გაყვანა საუმჯობესოდ დაუნახავს თიანეთზეო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, როგორც სჩანს ჩვენის გაზეთის დღევანდელ ნომერში დაბეჭდილ ბ-ნ ნადიკვრელის წერილიდან ჯერ-ჯერობით კახეთის რკინის გზის არც ერთს მიმართულებას უპირატესობა არა აქვს მიცემული, არც ბ-ნ ლამრკისაგან და არც კახეთის თავად-აზნაურობისაგან. თვით ლამარკისაგანაც ვიცით, რომ ჯერ იმასაც არა აქვს გადაწყვეტილი, რადგან მხოლოდ გუშინ წინ გაჰგზავნა დეპეშა ლონდონს საკუთარის ტეხნიკოს-ინჟინერისა და სამთო-ინჟინერის მოსაწვევად. როცა ისინი გამოიკვლევენ ამ საგანს, მხოლოდ მაშინ გადაწყდება, რა მიმართულებას მიეცეს უპირატესობა.

◆ ქალაქის გამგეობა შესდგომია ქალაქში პურის საცხობთა პროექტის შედგენას.

◆ ქალების პირველ გიმნაზიაში თავისუფალ სტიპენდიების დანიშვნის საქმე გადაწყდება 2 ნოემბერს.

◆ ამ ორის თვის წინად გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოკჩაევმა გამგეობაში განაცხადა, რომ 1) საჭიროა ყურადღება მიექცეს როგორც სასწვრების სინამდვილეს, აგრეთვე წონის ზომებსაო; 2) ეხლანდელი სისტემა ბეჭდის დასმისა სასწვრებზედ და საზომზედ არ ეთანხმება სამინისტროსაგან ცირკულიარით გამოქვეყნებულ წესებსაო. გამგეობამ, 28 ოკდომბერს, განიხილა რა კოკჩაევის აზრი, დაადგინა: მისწეროს უმთავრეს მმართველობას ზომებისა და სასწორებისას, რომ გამგეობას გამოუგზავნოს ყოველივე ცნობა შესახებ ზომებისა და ისიც, თუ როგორ მოეწყოს ბეჭდით აღნიშვნა შესწორებულ ზომებისაო.

◆ ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარის ზედამხედველად, სააკოვის მაგიერ, თავშესაფარების კომისიამ დანიშნა დავითიანცი; 28, ოკდომბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა რა კომისიის დადგენილება, უარჰყო მის მიერ დანიშნული კანდიდატი, რადგანაც კომისიას ნება არა ჰქონია თავისს ნებით ამ თანამდებობაზედ ვინმე დაენიშნა გამგეობის დაუკითხავად. გამგეობამ დაავალა კომისიას, წარმოგვიდგინეთ ყველა მათი თხოვნა, ვინც ამ თანამდებობის დაჭერის სურვილი განაცხადაო.

◆ ტფილისის პოლიციას უკვე წარეგზავნა იმ ყმაწვილ კაცთა სია, რომელნიც არ გამოცხადდნენ ქალაქის გამგეობაში 15 ოკდომბერს კენჭის საყრელად; პოლიცია უკვე შეუდგა მათს ძებნას; ამ ჟამად პოლიციას ხუთი კაცი უკვე უპოვნია, რომლებიც უკვე წარედგინა გამგეობას; გამგეობის დადგენილებით, ისინი, რომელნიც ნებით არ გამოცხადდნენ სამხედრო ბეგრის გადასახდელად, უკენჭოთ იქნებიან გაყვანილნი ჯარის-კაცად.

◆ 28 ოკდომბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა მიხეილის საავადმყოფოს გამგის თხოვნა, რომ მიხეილის საავადმყოფოს სასაფლაოზედ ადგილი აღარ არის მიცვალებულთა დასაკრძალავად და ქალაქმა დაუთმოს თავისუფალი ნაჭერი მიწა ამ საჭიროებისათვისაო; გამგეობამ დაადგინა, გაისინჯოს სასაფლაო და, თუ აღმოჩნდეს, რომ ადგილი არ არის, მოეჭრას ერთი ნაჭერი მიწა მიცვალებულთა დასამარხავადო.

◆ სამხედრო საავადმყოფოს უფროსმა მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა რადგანაც სასაფლაოზედ აღარ არის თავისუფალი ადგილი გვიშუამდგომლეთ ქალაქთან, რომ დაგვითმოს ამ თავისუფალი ადგილი საავადმყოფოს მიცვალებულთა დასაკრძალავათაო. გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის მოურავს, შეატყობინოს, რა დადგენილებას დაადგა გამგეობა საავადმყოფოს უფროსის თხოვნის შესახებაო.

◆ ვაჭრობის უფროსმა ზედამხედველმა, ბ-ნმა ბაბოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის ბაზარ ადგილებში ვაჭრობის ზედამხედველთა რიცხვი გაამრავლეთო; ბ-ნი ბაბოვი თავისს თხოვნას იმით ასაბუთებს, რომ ამ უკანასკნელ დროს ტფილისში ვაჭრობამ იმატა და ის რიცხვი ვაჭრობის ზედამხედველებისა, რაც ეხლა ჰყავს ქალაქის გამგეობას, ვერ ასდისო.

◆ აქვე მოვიყვანთ ერთს მაგალითს, რომელიც საკმარისად დაგვისურათებს ქალაქის გამგეობის საქმეების წარმოებას; ქალაქის მამულების მეთვალყურე კომისია შესდგომია სხვა-და-სხვა ცნობის შეკრებას ი. ფურცელაძის მამულის თაობაზედ; სხვათა შორის, კომისიას უცვნია საჭიროდ შეიტყოს, რა ქაღალდების ძალით დაუმტკიცა ფურცელაძემ ნოტარიუსში ხავთასსა და ტერ-ფარსეღოვს მიყიდული ადგილები; ამისთვის ქალაქის გამგეობა სთხოვს ნოტარიუსს, ქალაქის ადგილ-მამულების კომისიას დასჭირდა ფურცელაძის მამულის შესახებ ქაღალდები და გთხოვთ დროებით გვათხოვოთ მის მიერ წარმოდგენილი საბუთებიო. ნოტარიუსი სამის დღის შემდეგ სწერს, ვთხოვთ დაგვისახელოთ, რა საბუთის ქაღალდები უფრო საჭირო იქნებაო. გავიდა სამი თვე ქალაქის გამგეობა კიდევ იმასა სწერს ნოტარიუსს რაც პირველად მისწერა, ნოტარიუსი კიდევ იმასვე სწერს სამი თვის შემდეგ გამგეობამ კიდევ ისევე გაიმეო-

რა და ამ წიწერ-მოწერაში გავიდა ნახევარ წელიწადი და ძლივ-ძლივობით ახლა მიიღეს საჭირო საბუთის ქაღალდები.

◆ ქალაქის გამგეობა შესდგომია ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა სახლების უმთავრეს გეგმის შედგენას; ამის გამო გამგეობას თავის ტეხნიკოსებისათვის დაუვალებია გადიღონ გეგმა ამ შენობათა და წარუდგინონ ქალაქის ამშენებელ განყოფილების უფროსს, ბ-ნს ეფიანჯიანცს.

◆ 29 ოკდომბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა სასანიტარო-საექიმო განყოფილების გამგის, ბ-ნ სტეფანოვის განცხადება, რომ ქალაქის საყასპო გამგე ბეითალი, ბ-ნი კანცელმახერი, გაიგზავნოს მომავალ იანვარს პეტერბურგში ბეითალთა კრებაზედაო; გამგეობამ დაადგინა სტეფანოვის წინადადება გარდაეცეს ქალაქის საფინანსო კომისიასაო.

◆ ჯერ კიდევ 29 ნოემბერს 1893 წელს, ქალაქის ხმოსანმა პ. მ. იაკიმოვმა წარუდგინა საბჭოს წინადადება, იმის შესახებ, რომ რადგანაც კავკასიის რკინის გზებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ეკონომიურ განვითარებისათვის და მეორეს მხრივ სასანიტარო მდგომარეობა ქალაქისა ყოველთვის საფთხილებელია, ამიტომ ქალაქი მოვალეა თავისი წარმომადგენელი იყოლიოს კავკასიის რკინის გზების მმართველობაშიო. რადგანაც ეს საგანი ქალაქის საბჭომ ფრიად საყურადღებოდ სცნო მაშინვე ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ამ საგნის ყოველის მხრივ დაწვრილებით განხილვა; კომისიაში ამორჩეულ იქმნენ თავათ ამ საქმის დამწყები ბ-ნი იაკიმოვი, ვერმიშევი, ალიხანოვი, ლისიციანი, ქიუჩარიანცი და სხვა; როგორც მოსალოდნელი იყო კომისია მუყაითად შეუდგა საქმეს, დაამზადა ვრცელი მოხსენება და დასკვნა, ქალაქმა უთუოდ უნდა იყოლიოს რკინის გზების მმართველობაში თავისს წარმომადგენელიო. ეს კომისიის მოხსენება, წარედგინა ტფილისის გუბერნატორს, რომელმაც თავის მხრივ გაუგზავნა გზათა მინისტრს; მინისტრმა ქალაქს ამ შუამდგომლობაზედ უარი განუცხადა, იმ აზრით, რომ უმთავრეს გზათა მმართველობაში უკვე არის ქალაქების საერთო წარმომადგენელიო. 1897 წელს, გამგეობამ ხელ ახლად აღძრა შუამდგომლობა მინისტრის წინაშე; ტფლისის გუბერნატორმა განიხილა რა ეს თხოვნა, დაუბრუნა ქალაქის გამგეობას და სთხოვა ამ თხოვნასთანვე წარედგინოს საგანგებო აზრი ამ საგანზედვე. 1897 წელს აქეთ, ეს საქმე თითქო ჩაიყლაპაო, მისი ავი და კარგი აღარავინ იცის; ამ დღეებში ბ-ნ იაკიმოვს განზრახვა აქვს შეეკითხოს ქალაქის გამგეობას, რა აზრისაა გამგეობა ამ საგანზედ და როდის აპირებს გამგეობა გუბერნატორის ქაღალდზედ პასუხის შემუშავებას.

◆ როგორც შევიტყეთ, უმაღლესს მთავრობას გადუწყვეტია ამიერ-კავკასიაში სამკურნალო საქმე გაუმჯობესოს აზრად აქვთ თითო მაზრაში ორ-ორი სასოფლო-სამკურნალო დააარსონ და ორ ორი საფერშლო ადგილი მოაწყონ. ამ ჟამად სასოფლო მკურნალობის საჭიროებისათვის ამიერ-კავკასიაში იხარჯება 214,000 მანეთი; ახალის გეგმით-კი დაიხარჯება 920,000 მანეთი.

◆ 28 ოკდომბრის სხდომაზედ „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება საზოგადოების მდივნის ს. ფირცხალავასი იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნას პროექტი იმ წესებისა, რომელთა მიხედვითაც უნდა დაინიშნას თავ. გ. დადიანის მიერ შეწირულ თანხიდან პრემიები. გამგეობამ გადასწყვიტა, მიანდოს პროექტის შემუშავება გამგეობის წევრს ბ-ნ დავით კარიჭაშვილს. გამგეობამ ამასთანავე დაადგინა დადიანის თანხიდან სტიპენდიების დანიშვნა გადაიდოს ერთის წლით, ვიდრე სტიპენდიებისათვის საჭირო სარგებელი შესდგება.

◆ ტფლისის ბებია-ქალთა ერთ ჯგუფს განუზრახავს დააარსონ აქ „ბებია-ქალთა საურთიერთო დამხმარებელი კავკასიის საზოგადოება“, წესდება შეუდგენიათ და კავკასიის მთავარ-სამმართველოსაც შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარუდგენია. სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს წესდებაში რამდენიმე მუხლი შეიცვალოს; ეს ცვლილება აღუნიშნავს და წესდებაც უკან დაუბრუნებია მთხოვნელთა საცნობლად. თუ „საზოგადოების“ დამაარსებელნი მოისურვებენ წესდების იმ გვარად შეცვლას, როგორც სამინისტრომ აღნიშნაო—იუწყება გაზ. „კავკაზ“-ი—იმ შემთხვევაში წესდებაც დაუყოვნებლივ დამტკიცდებაო. (ცნ. ფურც).

◆ სამხედრო ბეგრის გადასახდელად წრეულს ტფილისიდგან გაწვეულნი იყო 17 ებრაელი; მათში მხოლოდ ხუთსა რგებია კენჭი.

◆ ქალაქის ამშენებელი განყოფილება სთხოვს შორველ განყოფილებას, შეადგინეთ სია ყველა იმ საქმისა, რომელიც დაწყებული იყო ამშენებელ განყოფილების მხრივ და შეეხებოდა ტფილისის სანიტარულ მდგომარეობასაო.

◆ დღეს, 31 ოკდომბერს, დანიშნულია ქალაქის სასწავლებელთა აღმსრულებელ კომისიის წევრთა კრება.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობამ სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნა ჯანმრთელობის მხრივ შესამოწმებლად წელს ჯარის-კაცებად გაწვეულთაგან 100 კაცი.

◆ დღეს, 31 ოკდომბერს, დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობის, და ხორცის დუქნების მოთვალყურე კომისსიისა.

◆ გუშინ-წინ, 28 ოკდომბერს, ველიკოკნიაჟ. ქუჩაზედ; როტინოვის სახლში, ანტონ ფურცელაძის სახლიდგან ვილაც ბოროტ-გამზრახველმა მოიპარა ქალის ოქროს საათი, ოქროს ბეჭდები, ბრასლეტი და სხვადასხვა ნივთი, 65 მ. ფულად, სულ 250 მან. საფასური ა. ეჭვი მიუტანიათ მოსამსახურეზედ, რომელიც ერთის დღის წინად დაითხოვეს, პოლიცია დაეძებს ამ დამნაშავეს, მაგრამ ჯერაც ვერ აღმოუჩენია.

ჩვენებური ამბები

ზუგდიდი. ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად არჩეული ვლ. ალშიბაი—რვა წელიწადი სწავლობდა საფრანგეთში, განსაკუთრებით მეურნეობას.

საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ განაგებდა მისის უგანათლებულესობის თ. ნიკო დადიანის მამულს, სადაც გამოიჩინა დიდი მხნეობა, ფეხზე დააყენა დადიანის მამული, ბოლო მოუღო იმ უთანხმოებას, რომელიც ხშირია მებატონესა და გლეხებ შორის. მანვე დიდი შემწეობა გაუწია ზუგდიდის მაზრის სკოლებს.

გით.

—

ქუთაისი. 28 ოქტომბრისათვის დანიშნულ წარმოდგენაში (ტარტიუფი), მონაწილეობა უნდა მიეღო ბ. ვასილ აბაშიძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, რაღაც მიზეზების გამო ვერ ჩამოვიდა და მის როლს თამაშობდა ბ. იმედაშვილი. მოთამაშეებს ცდა ეტყობოდათ. მესხიშვილის გარდა, რომელიც, ჩვეულებრივ, შეუდარებლად თამაშობდა, არა უჭირდათ-რა სხვა მოთამაშეებსაც. არ შეიძლება არ შევნიშნოთ რომ, ახალგაზრდა მსახიობს—ბ. ზარდალიშვილს ნიჭი ეტყობა, ასე რომ თუ ეცდება, იმედია, ბოლო დროს ჩინებული მსახიობი გამოვა. ხალხი წარმოდგენებს ცოტა ესწრება.

ამ ბოლო დროს ჯიბგირებმა მეტი მხნეობა გამოიჩინეს საწყალ სოფლელ ხალხის ჯიბის გაცალიერებაში. ეს ვაჟბატონები უფრო კვირა-უქმე დღეობით შოვობენ საკბილოს სავაჭრო მოედნებზე. მარტო წარსულს კვირას სამი ჯიბგირი დაიჭირა პოლიციამ.

ქუთაისი სავსეა „სასალდათოთ“ გამოწვეულ ახალგაზრდა ყმაწვილებით; ბევრნი სამთვრალესა და ჩხუბში ატარებენ დროს.

N. O.

—

ერთაწმინდა (გორის მაზრა). ერთაწმინდიდგან გვატყობინებენ: ამ შემოდგომის პირზედ, აქაურს გლეხკაცის მიხა ბალალაშვილის უღელ კამეჩს ვილაც ავაზაკმა დასჭრა ყელები, ტყავები წაიღო და ლეშები იქვე დაჰყარა. საქმის გარემოება ესე იყო: საღამოჟამს, ბალალაშვილი სოფლის განაპირას, თავის კალოზედ, მუშაობდა და იქვე ნაფუზარში მისი უღელი კამეჩი სძოვდა. ამ დროს სოფლიდგან ამოატარა მუშა საქონელი მისმა მეზობელმა, სანდრო ელისაბედაშვილმა, რომელსაც ღამისარში მიუდიოდა საძოვრათ. ბალალაშვილმა, როგორც კარგ მეზობელს, სთხოვა გაირეკეო ჲ მეც როგორც მოვისაქმებ, ამოგეშველებიო; მაგრამ დახე ამის ბედსა! დაღალულ-დაწყვეტილს ბალალაშვილს დაზარებოდა წასვლა და ის უფრო ანუგეშებდა, რომ სანდრო ელისაბედაშვილი ყოჩაღი ვაჟკაცია და მის საქონელს ისე გაუფთხილდებოდა, როგორც თავისს თავს. ბალალაშვილს მაინც გულმა არ მოუსვენა, ადგა ნარიყრაქევს და გასწია ჯვარის ტბისაკენ სათარხნოში. განთიადი იყო, რო ასულიყო, მაგრამ რა ნახა: როგორც ზევით მოგახსენეთ, ყელებ დაჭრილი ოროლი სული კამეჩი. როგორც მთელი სოფელიც დამემოწმება, მიხა ბალალაშვილს არავისთან სიკეთის მეტი სიავე არ მიუძღვის, ყველასაგან პატივცემულია, მუშა-კაცი ჲ ფრიად სანდო; აი, ამან გამოიწვია მთელ იმ ახლო-მახლო სოფლებში დიდი მითქმა-მოთქმა; დარწმუნებით ამბობენ, სიბოროტე შეცდომით არის ჩადენილიო; ეჭვი შეიტანეს ჩაჩუბეთში მცხოვრებ თათრებზედ, (სოფელია); რაღაც ანგარიშს ასახელებენ ერთაწმინდის შეძლებულ გლეხკაცებსა—ოქრუშვილებსა და ჩაჩუბეთელ თათრებ შორის. ეს მათი უთანხმოება აძლევს საბუთს მცხოვრებლების მითქმა-მოთქმას ამ საქმის შესახებ. ბალალაშვილის მოხუცი დედა ამ ელდამ კინაღამ იმსხვერპლა, თუმცა-კი მას აქეთ არც ეხლაა სრულ გონზედ.

—

პატარა-ფოთი (სენაკის მაზრა). პატარა-ფოთის ადგილ-მდებარეობა მეტად ლამაზი და შნოიანია. იგი, გაშენებულია მდ. რიონის მარჯვენა ნაპირას მაღლობ ადგილზე, მედიდურად დასცქერის მიდამოს. მცხოვრებნი უმეტესად მიწის შემუშავებას მისდევენ და მიწის ნიადაგი ჩინებულია, ხე-ტყითაც მდიდარია ეს სოფელი; აგრეთვე აქაური რიონი სავსეა ფოროჯით, ზუთხით და სხვა თევზებით, რის გამო მეთევზეობაც მცხოვრებთათვის შეადგენს საყვარელ ხელობას. ამისთანა ბუნებით დაჯილდოებული სოფელი მდიდარი უნდა იყოს ქონებით, მაგრამ ეს ასე არ არის; მიზეზი ამისა ბევრია და, სხვათა შორის, მკვიდრთა წინდაუხედავი ცხოვრება. პატარა-ფოთელი არ ჰფიქრობს მანეთს მეორე მანეთი მიუმატოს. მანამდის არა აქვს მოსვენება, სანამ უკანასკნელ მანეთს ჩარჩ-სომეხს ან ცბიერ ურიას არ ჩაუგორებს ქისაში ყალბი ჩითის ფასად.

აქ არსებობს სამრევლო სკოლა, რომლის დაარსებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ხოშტარიებს. ადგილობრივი მკვიდრნი დიდი პატივით ეპყრობიან სკოლას, რადგან მან უკვე დაანახვა საზოგადოებას თვისი დიადი მნიშვნელობა. იმ ხმამ ვითომ ქართული ენა ისპობა სამეგრელოს სამრევლო სკოლებშიო, დიდად დააღონა აქაურები.

სკოლა სკოლაა, მაგრამ არ იქმნა მოძღვრის შესახებ საშველი... ამას წინად გვყავდა საკუთარი შტატის მღვდელი, მაგრამ მერე რაცხა ფერად შტატი დაგვეხურა და მიგვაწერეს ს. საჭოჭუოს მთავარ ანგელოსთ ეკკლესიაზე რომელიც დაშორებულია პატარა-ფოთიდგან შვიდი ვერსის მანძილზე. მაგრამ გზები, რა გზები?! დიდად ამჯობინებთ სხვაგან ოცი ვერსის გავლას, ვიდრე აქ გზით შვიდისას. სამ კვირაში ერთხელ გვეძლევა შემთხვევა წირვის მოსმენისა, მაგრამ ხშირად იმასაც მოკლებულნი ვართ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო. ეს სოფელი ბუნებას განუცალკევებია სხვა სოფლებიდგან და ნეტა მთავრობას რად ჰსურს მაინც და მაინც ს. საჭოჭუოს მიაკრას? დროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს. თუ ჩვენ არა, ჩვენი სკოლის პაწია მოსწავლენი მაინც შეიბრალონ, რომელთათვის გონებრივ სწავლასთან ერთად, საჭიროა ზნეობრივი აღზრდაც, რომლის წყაროდ ითვლება ეკკლესია.

აქეთ ქურდობა ხშირია, განსაკუთრებით შინაურის ცხოველებისა. მონაპარ საქონელს მიერეკებიან ქალაქ ფოთში და იქ ყასბებს ასყიდებენ ნახევარ ფასად.

სიმინდის მოკრევა ანუ „მოწია“, როგორც მეგრელები ამბობენ, გათავდა. წრეულს მოსავლის რაოდენობა საშუალოა. ამბობენ, სიმინდს კაი ფასი ექმნებაო, რის გამო მუშა კაცი სიხარულით ცას ეწევა.

პატარა-ფოთელი.

კავკასია

ნეზითი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ეს სოფელი დიდი სოფელია და მცხოვრებნი შეძლებულნიც არიან. დღემდის აქაურს სკოლას ჰქონდა ერთი საკუთარი სასკოლო შენობა და რადგანაც სწავლის მსურველნი ბევრნი იყვნენ, ამიტომ კიდევ სკოლისათვის ოთხ ალაგას ჰქონდათ დაქირავებული კერძო პირთა სახლები 500 მანეთად. მცხოვრებთ კარგა შეიგნეს, რომ ამოდენა ხარჯი ყოველ წელს უბრალოთ მიდისო, ამიტომ სოფლელნი სამ უბნად გაიყვნენ და გადასწყვიტეს სამივე უბანმა თავთავისთვის აიშენოს სასკოლო შენობა. ქვემო და შუა უბანმა უკვე იჯარით გასცეს შენობის აგება 7,200 მანეთად.

ძველი სკოლის შენობა სოფელმა ქალების სკოლას დაუთმო.

დღითი-დღე წინ მიდის ოსებში სწავლა-განათლების საქმე, აქ ყველამ იცის, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე“; ამიტომაც არაფერს ხარჯს არა ზოგავენ სკოლების წარმატებისთვის, ოღონდ თავიანთ შვილებს სწავლის გზა გაუხსნან.

—

ამავე სოფელში მცხოვრებმა ნინო ავზურაგოვმა დამბაჩა დაიცა და თავი მოიკლა. მიზეზი ის აღმოჩნდა, რომ ეს საბრალო ცუდის სენით (ათაშანგით) ყოფილიყო ავად და, თურმე, ამან აიძულა მოეკლა თავი. სამწუხაროდ, ოსების სოფლებში ძრიელ მოდებულია ეს ცუდი სენი.

უცხოეთი

საფრანგეთი. „Revue“-ს უკანასკნელ წიგნში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ჟან ფინოსი „Les français les anglais“. ავტორი ეხება წარსულსა და ეხლანდელ ურთიერთობას ინგლის-ფრანგთა შორის და შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„თუმცა ეს ორი ხალხი ხშირად კინკლაობს, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად, თავისდა უნებურად, ერთმანერთს კარგს სამსახურს უწევს. ყველაფრითა მტკიცდება, რომ ამ ორ ერს თავს დასტრიალებს რაღაც ფარული ძალა, რომელიც აბათილებს ყოველგვარ დაბრკოლებას და ხელს უშლის მათ შორის უთანხმოების დამყარებას. რადგან ერთმანერთის

ფელეტონი

მიტრო ჭედილაშვილი

(მოთხრობა)

I

როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოფლად ქსენონები შემოიღეს, ერთი ქსენონიც წალკატის მაზრასაც არგუნეს სოფელ ბედოვლათიანთ კარში. მართალია, სხვა უფრო გამოჩენილი სოფლები თავს იკლავდნენ, იბრძოდნენ, ყოველ ღონის-ძიებასა ჰხმარობდნენ, თავისკენ გადაეტანათ ეს სასარგებლო დაწესებულება, მაგრამ ბოლოს გაიმარჯვეს ბედოვლიანთ კარელებმა და ამის მიზეზი იყო არა სოფელი თავისს შეუგნებლობით და უმეცრებით, არამედ სოფლის ნასწავლი მოძღვარი მამა სვიმონი და გავლენიანი ახალგაზდა უნივერსანტი თ—დი ირაკლი ქაღარაძე. მოწინააღმდეგე დასს მეთაურობდა სოფლის მასწავლებელი ილია ექვთიმეშვილი.

ამ ჩამორჩენილ და ღარიბ სოფლისათვის საავადმყოფოს დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველ მხრივ. ერთი რომ ცრუ ექიმბაშები ვეღარ ითარეშებდნენ ისე თავისუფლად; ამას გარდა ქსენონის გამგე ექიმი თავისი ფერშლებითა და ბებია ქალით, შეერთებულნი მოძღვართან, მასწავლებელთან და თ—დ ქაღარაძესთან, იქონიებდნენ განმანათლებელ გავლენას ხალხზე.

ბედოვლათიანთ კარელები სიხარულით ცას ეწეოდნენ. გახარებულნი იყვნენ აგრეთვე გამარჯვებულნი ბაირაღტარნი სოფლისა: მოძღვარი და ქაღარაძე; გახარებული იყო ახლად დანიშნული მკურნალი, ჭლექისაგან დაავადებული და მთლად მისუსტებული, რომ ასეთს მჟავ-ბადით სავსე სოფელში დაინიშნა და, მაშასადამე, მის ავადმყოფობას ეს გარემოება ძლიერ არგებდა.

გახარებული იყო უფროსი ფერშალიც თომა წვერაძე, რომელიც გამსჭვალული იყო იმ ფიქრით, რომ როგორმე მიწები აელო იჯარით და მეურნეობა გაეჩაღებინა. „აი სად შეიძლება ვიყოლიო ჰოლანდიური მამლებიო“,—ჰფიქრობდა წვერაძე. უხაროდა უმცროს ფერშალს ნიკო ზაფრაძესაც, რომელიც იმ აზრით მოსულიყო აქ, რომ როგორმე მამულიანი, ვადა-გადასული ქალი შეერთო და სამსახურიდანაც გამოსულიყო და ეცხოვრა დამოუკიდებლად. ლამაზი და ეშხიანი ცოლი, სიყვარული, პური და ღვინო,—აი რა იყო მისი სატრფიალო საგანი.

გახარებული იყო აგრედვე ცქრიალა ბებია ქალიც, რომელიც ოცნებობდა ექიმის ან თავადის ცოლობას; თუ გაჭირდებოდა ფერშალსაც მისთხოვდებოდა, მაგრამ ფერშალი უეჭველად იტალიელი უნდა ყოფილიყო.

დიაღ, უხაროდა ყველას სხვა-და-სხვა მიზეზით, მაგრამ ყველაზედ უფრო გახარებული იყო ჩემის მოთხრობის გმირი, ქსენონის მსახური მიტრო ჭედილაშვილი.

მიტროს მიღება ქსენონის მოსამსახურედ უპროტექციოთ და რაღაც უცაბედათ მოხდა. როცა ქსენონის ბარგი-ბარხანას ალაგებდნენ, მუშებში მიტროც ერია და თავისი სიყოჩაღითა და თვალის იერით მიიქცია ექიმისა და ფერშლების ყურადღება და იმ დღესვე მიიღეს კიდეც.

მიტროს მართლა მართებდა კიდეც სიხარული, რადგან თვეში 15 მ. დაუნიშნეს ჯამაგირად და 7 მანეთი სარეცხისათვის იმის გასათხოვარ დას ლიზიკოს. ხუმრობა საქმეა, ბატონო, ასეთ გაფხეკილ დროს ამდენი ფული აიღოს თავისს სახლის მოუშორებლად სოფლის უსწავლელმა კაცმა? ეს რჩეულთა ხვედრია სწორედ.

მიტროს მიღებამ ქსენონში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბედოვლათიანთ კარში.

— ბიჭო, ვანო! ტოროჟათ აფთრიაქხანაში მართლა ჭედილაანთ ბიჭი მიუღიათ?

— ჰოო!

კარგი ბედი მოჰსვლია, რას ერჩი, ძმაო?

— ბიჭო, მაგის მიღებას ქვრივი პელას ვარდუა მიეღოთ ის არა ჯობდა? ჭედილაანი, შვილოსა, ისედაც კარგად სცხოვრობენ და ბეჩავი პელუაანი-კი ნახევარჯერ შიმშილით იხოცებიან.

ასე და ამ გვარად ბჭობდნენ გლეხები, დედაკაცები-კი სულ ჩურჩულადა და ჭორად იქცნენ.

— ვუი ქა, დაუდგეს მიტროს თვალები, რა ალაგში ჩამდგარა, რა თვალში მოსვლიათ, ნეტა ვიცოდე?

— რასა ბრძანებ, ბაბალე, ვერა ჰხედავ, ბიჭი ალვის ხესა ჰგავს?

— მერე რაა, რო ალვის ხესა ჰგავს?

— ისაა, რო ბებია ქალს მოჰსვლია თვალში და „დოხტურითვინ“ უთხოვნია, ან ეს მიიღე, ან მე აქედან გადავიკარგებიო.

ვუი, გაუქრეს დღენი, აბა, ნახავ, კეკელავ, თუ ი შალატანი ბიჭი იმ რუსის გომბიოს არ შეირთავს, ჭორაობდნენ დედაკაცები.

II

მიტრო 23 წლის ყმაწვილი ბიჭი ბედოვლათიანთ კარის ერთის დიდი ოჯახის ჩამომავალი იყო გაათავა თუ არა სოფლის სკოლა, სწავლის განგრძობის მაგიერ, მიაბარეს სოფლის მედუქნეს გრიგოლა ღიპიანიძეს. ეს ღიპიანიძე 40 წლის ქართველი კაცი იყო, რუმბივით გაბერილი, უზარმაზარის თავით, მსუქანი, მოკლე ბაჯ-ბაჯა ფეხებით, მოპარსულის წვერით. რაღაც საშინლებას წარმოადგენდა. პატარაობითვე ვაჭრობაში და ჩარჩობაში გაწვრთნილს და ნათრევს, ზნეობა ძლიერ შებღალული ჰქონდა. იმის დროშაზედ ცხოვრებაში ფლიდობა და გაიძვერობა ეწერა. იმის ერთად ერთი იდეალი, როგორც სხვა ბევრ იმისთანებისა, იყო: ფული, ფული და ფული. სხვა ხომ იმისთვის არ არსებობდა. დიდი ხანია გრიგოლა ამ საცოდავ სოფელს აწიოკებდა, ავერანებდა, იკლებდა შეუმჩნევლად, მოფერებით. სოფლელნი ჰგრძნობდნენ მის მაგარ ბრჭყალებს და საცოდავად კნაოდნენ.

თავისს საკუთარ ოჯახში ღიპიანიძე ნამდვილი ინკვიზიტორი იყო: სცემდა ცოლს უწყალოდ, სცემდა შვილებს, ბიჭებს, ყველას, ვინც-კი გაჰბედავდა ან შენიშვნის მიცემას ან რითიმე ხელის შეშლას.

აი ასეთ კაცს მიაბარეს პატრა მიტრუა. დიდი სამსახური გაუწია მიტრუამ გრიგოლას და აკი ხაზეინმაც აღჭურვა მიტრო თავის მეცნიერებით. იმას რო მოშორდა, მიტრო 19—20 წლისა იქნებოდა.

გრიგოლას დუქანში მან შეისწავლა: ქურდობა, სიცრუე, ლანძღვა-გინება და ბინძური შაირები. მოშორდა „ხაზეინს“ უკვე ზნეობა-დაცემული, გათახსირებული.

გარყვნილი სულით, მიტრო მხოლოდ ფიზიკურად იყო ძლიერ განვითარებული. ჯანღონე და ზნე-დაცემულება საქებურად მიაჩნდა. ამაყობდა ოჯახიც, ნამეტნავად მისი გაქნილი და ქლესა დედა მელა, ერთ დროს გრიგოლას საყვარელი, ამაყობდა მიტროს გამოცდილებით, სიყოჩაღით და სოფელი-კი მოკლებული იყო ასეთ შემთხვევაში კრიტიკულ ალღოს. მიტრო-გრიგოლასთანა კაცები ცოტანი არ არიან მთელს იმ არე-მარეში.

III

ჩადგა მიტრო ახალ საქმეში და ერთის თვის განმავლობაში გაიწვრთნა არა თუ თავისს პირდაპირ მოვალეობის აღსრულებაში, არამედ ქსენონის უფროს ფერშალს პარაშოკების კეთებას და სხვა-და-სხვა წვრილმან საქმეებშიაც ეხმარებოდა. მერმე შეისწავლა აბების კეთება და ემულსიისა, გაიზეპირა რამდენისამე წამლის სახელი ლათინურად და იცოდა ეს გაზეპირებული წამლები, რა ალაგას ელაგა. უფროსი ფერშალი ეტყოდა: მოიტა მიტრო, ხინინი მურიატიცი, აციდი ბორიცი და სხვა. მიტროც შეუცდენლად ასრულებდა უფროსის ბრძანებას და, როცა წამლები შეთხელდებოდა, ეტყოდა ფერშალს: თომა! სანტანინი და ხინინი მურიატიცი მგონი თავდება, უნდა დღეს უთხრათ „დოხტურს“, რო იყიდოს დროზედ, თორე შეგვჭამენ ავადმყოფები. ამას ისეთის დამოუკიდებელის კილოთი ეტყოდა, როგორც ამხანაგი ამხანაგს. წამლების სახელებს ქართულ ასოებით იწერავდა ცალკე რვეულში და იზეპირებდა. ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებდა, ყველაფერს იხსომებდა. ისწავლა ყურების გამორეცხა, ოყნის გაკეთება, მცირე ჭრილობათა შეხვევა, მობანვა. ფერშლებმა შეჰნიშნეს, რომ წამლის შუშებზედ წვრილის ქართულის ასოებით წამლების ლათინური სახელები იყო მიწერილი. ბოლოს, წამლებსაც დაკლება დაეტყო. ეს, ყოველივე, მიტროს საქმე იყო, მაგრამ რით დაუმტკიცებდნენ. ექიმს გააგებინეს, მაგრამ ექიმი უსაბუთოდ არ ითხოვდა მით უმეტეს, რომ მიტრო ექიმს სახლშიაც კაი სამსახურს უწევდა; ამიტომ ასე ადვილად არ ეთმობოდა ექიმს ეს მარჯვე ბიჭი.

მიტრო ახლა გაეჯიბრა ფერშლებსაც. რადგანაც ფერშლები ჩერქეზულ ტანისამოსს იცვამდნენ, მიტრომაც გაიხადა თავისი ყარაჩოხული მორთულობა და ისიც ჩერქეზულად გამოეწყო, მაგრამ თავისს უფროსებზე უფრო ლაზათიანად. თუ ფერშლების ჩოხა-არხალუხი—ბევრი-ბევრი—ოცდახუთი მანეთი ღირდა, მიტრომ ოთხ-თუმნიანი შეიძინა; უფროსების ქამარ-ხანჯალი თუ თუმნის მეტი არა ღირდა, მიტრომ ოცდაექვს მანეთიანი ჩამოიკანტურა. სულ ბუზმენტებში, ვერცხლსა და ოქროს წყალში დაფერილ სამკაულში იჯდა.

პატივისცემითა და თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი, ადვილად შეიგნეს, ურთი-ერთთა გავლენის წყალობით, თავისი პოლიტიკური ძლიერება, მოიპოვეს თავისუფლება და შექმნეს ეროვნული წესწყობილება. ავილოთ, მაგალითად, ეტიმოლოგიური ლექსიკონი სკეტისა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ინგლისურ ენაში ორჯელ მეტია ფრანგულ-ლათინური სიტყვები, ვიდრე გერმანული. იუმიც (ინგლისის ისტორიკოსი) იმ აზრისაა, რომ ინგლისურ ენის სილამაზე-სილაზათეს ბევრად უფრო შეუწყო ხელი ფრანგულმა, ვიდრე სხვა ენამაო. ამ გვარად, ინგლისური ენა, დამკვიდრებული ფრანგულს ენაზე, ავრცელებს, თავისდა უნებურად, ფრანგულ ენის სახელსაო“.

ინგლისი. ლონდონის კარზე მყოფ პორტუგალიის ელჩს სოვერალს ამ დღეებში მარკიზ ლანსდოუნისათვის წარუდგენია პროექტი პორტუგალიის აღმოსავლეთ-აფრიკისა და ბრიტანიის შუაგულ და სამხრეთ-აფრიკის სამფლობელოთა შორის სავაჭრო ურთი-ერთობის გაძლიერების შესახებ. ამისათვის, თანახმად პროექტისა, ბევრი მუშაობა იქნება საჭირო, და პორტუგალიის მთავრობის განზრახვაა ყოველივე ეს ინგლისის მთავრობას გადასცესო.

ეს ცნობა ცხად-ჰყოფს, რომ პორტუგალია მართლა მოკავშირედ ყოფილა ინგლისელებისა ბურებთან ომის დროს, მხოლოდ ფარულად, და მიტომაც ღებულობს ეხლა სასყიდელს. გარდა ამისა, გამოირკვა, რომ ინგლისს განზრახვა აქვს სრულიად დაეპატრონოს ამ შავს მატერიკს: სამხრეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით უკვე მიიტანა იერიში; ალბად დასავლეთიდგანაც მიჰყოფს ხელს, თუ გერმანია არ გადაეღობა წინ.

— ტრანსვაალში მიმავალ ახალშენთა მინისტრს ჩემბერლენს ტრანსვაალის ყოფილ პრეზიდენტ კრიუგერისაგან მიუღია წერილი, რომელშიაც იგი სთხოვს ახალშენთა მინისტრს სამხრეთ აფრიკაში მისვლის დროს ყურადღება მიაქციოს განსაკუთრებით სამს მდგომარეობას: 1) ჰოლანდიის ტომის მცხოვრებთა შევიწროებას ბრიტანიის მთავრობის მიერ; 2) ბურთა რაიმე სამსახურში მიუღებლობას და 3) ბურთა სასარგებლოდ გადადებულ თანხის გაძლიერებას და ომიანობის დროს დაქცეულ-განადგურებულ ოჯახთა უმწეო მდგომარეობას.

ოსმალეთი. ამ რამდენისამე ხნის წინად უცხოეთის გაზეთებმა გამოაქვეყნა, მიტროვიცში გამოწვეული უსიამოვნობა მოისპოვო, რადგან რუსეთის კონსულის მოწინაღმდეგეთა მეთაური ისსა ბოლეტინეცი შეიპყრეს და მცირე აზიაში გაჰგზავნეს მადნებში სამუშაოდაო; რუსეთის კონსული-კი მიტროვიცას ჯერ-ჯერობით არ წავაო. მაგრამ ეს ხმები მალე უარ-ჰყვეს სერბიის გაზეთებმა. მათის სიტყვით ხონთქარს უპატიებია ისსა ბოლეტინეცისათვის დანაშაული; მიტროვიცასა და მის მიდამოებში ალბანელები თავიანთ ბელადს დიდის ალტაცებით მიჰგებებიან და შედლუხი გაუმართავთ. ასეთისავე ამბით მიუცილებიათ იგი სოფლამდე. ამ ამბავმა სერბიის გაზეთები აალაპარაკა. ახლა გრაფ გოლუხოვსკის ორგანო „Pester Lloyd“, რომელსაც შეგვიძლია ვერწმუნოთ, ადასტურებს ზემორე მოყვანილს ამბავსა. ამ გაზეთში მეთაური წერილი იყო ამ საქმის მოულოდნელად დატრიალების შესახებ. მისის აზრით, ოსმალთა მიერ აღმოსავლეთში მყოფ კონსულთა მრავალ-გვარ უსიამოვნების მიყენება დიდ სისხლის ღვრას გამოიწვევსო.

სერბია. როგორც ვენასა, ან ბუდაპეშტში ალიძვრის ეჭვი,—სერბია რუსეთისაკენ მიიწევს, და მოსალოდნელია მათ შორის უფრო მკვიდრი კავშირი დამყარდესო, ასტყდება ხოლმე ადგილობრივ გაზეთებში ერთი მითქმა-მოთქმა და სულ იმას სცდილობენ, დედოფალ დრაგას დასდვან ყველაფერში ბრალი. მაგალითად, ამ გაზეთებმა ხმა დაჰყარეს, დედოფალი არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავს, რომ სერბიის მემკვიდრედ მისი ძმა, პორუჩიკი ლუნევიცა იქმნას აღიარებულიო. რამდენად უსაფუძლოა ეს ჭორი, ცხადათა სჩანს „Neue Freie Presse“ წერილიდგან, რომელიც „სერბიის აფიციალურ წყაროებიდგანაა ამოღებული.

ერთმა გაზეთმა, რომელიც სამხრეთ უნგრეთში გამოდის, დაჰბეჭდა კორესპონდენცია პეტერბურგიდგან. ამ კორესპონდენციაში ის აზრი იყო გატარებული, ვითომ სერბიის მეფე-დედოფალმა „მიტომ გადასდეს რუსეთში მოგზაურობა, რომ რუსეთი წინააღმდეგია სერბიის წინადადებისა მემკვიდრეობის შესახებაო. სერბიაში-კი სრულიად უარ ჰყოფენ ამ უსაფუძლო ხმებსა, რადგან ერთი სიტყვაც არავის უთქვამს მემკვიდრეობის შესახებ მეფე-დედოფლის მოგზაურობის თაობაზე მოლაპარაკების დროს. ვიმეორებთ,—ყოველივე ეს ჭორია, და ბელგრადში აზრადაც არავის მოსვლია ამ საგანს შეხებოდაო“.

ამ გვარი ცნობა მიუღია „Neue Fr. Pr.“-ის ბელგრადელ კორესპონდენტს მეფე ალექსანდრესთან ერთის დაახლოვებულის პირისაგან: „მეფეს ფიქრადაც-კი არ მოსვლია მემკვიდრეობის საკითხის აღძვრა და მით უმეტეს მემკვიდრედ პორუჩიკ ლუნევიცის დასახელებაო. ლუნევიცის კანდიდატობა მით უფრო უსაფუძვლოა, რომ მემკვიდრე—როგორც თვით მეფემ განაცხადა—15—20 წლით ჩემზედ უმცროსი უნდა იყოსო ე. ი. 7—12 წლისა, და ჩემს თვალწინ უნდა აღიზარდოსო. ამგვარად, თუ საჭირო შეიქნა მემკვიდრის დანიშვნა, მთავრობაც და ხალხიც წინდაწინვე იქნება მომზადებული და არავითარ უსიამოვნებას ადგილი აღარ ექნებაო.

სხვა-და-სხვა წერილები

კახეთის რკინის გზა.

ეტყობა კახეთის რკინის გზას ფერისცვალება მოუახლოვდა: დღევანდლამდე საზღაპრო მდგომარეობაში იყო, ახლა-კი, იმედია, სასიტორიო მდგომარეობაში გადავა. ოც-და-ათ წელიწადზედ მეტია, რაც გამოითქვა მთავრობისა და მცხოვრებლების სურვილი კახეთზედ რკინის გზის გაყვანისა. საქმის დასაჩქარებლად თავად-აზნაურობამ სათ.-აზნ. ბანკის შემწეობით გამოიკვლია ამ გზის მიმართულება.

როგორც ვსთქვით, აზრი გამოკვლევისა საქმის დაჩქარება იყო და შედეგი-კი სულ სხვა მოჰყვა, ე. ი. ეს გამოკვლევა საქმეს ადაუად (ტორმოზად) გადაექცა და დღესაც შეფერხებულია.

მართალია, გამოკვლევაზედ კიდევ ის იმედიც დამყარდა, რომ გზის კონცესიას თვით თავად-აზნაურობა მიიღებდა და გაიხდიდა მოუწყვეტელ წყაროდ მოზარდ თაობის აღსაზრდელად, მაგრამ, როგორც უოველთვის, აქაც „საზიარო ყანა ჩიტმა მოუჭამა“ თავად-აზნაურობას და მისი მაგიერობა დაიჭირა რამდენიმე კაცმა. ამათაც საწადელს ვერ მიაღწიეს.

ასე ირაოდ გაშვებულმა საქმემ ამოჰყო თავი ერთის კაცის ხელში. თ. ნ. ჭავჭავაძემ მიიღო კახეთის რკინის გზის კონცესია; იმასვე უმაღლესად დაუმტკიცდა წესდება გზისა. ვიდრე უმაღლესად კონცესია და წესდება დამტკიცდებოდა თ. ნ. ჭავჭავაძის სახელობაზედ, კვლავ სხვა მიმართულება გამოიკვლიეს. შეავსეს აგრეთვე თავად-აზნაურთა გამოკვლევა.

ამ სამნაირმა გზის მიმართულებამ საქმის ახლო მდგომნი დაჰყო დასებათ: ზოგი ერთს ამჯობინებდა, ზოგი მეორესა. ჯობნა-ძაგებამ მიაღწია ევროპისა და ამერიკის პრესის შემწეობით დაინტერესებულთა ყურამდის და გზის გაყვანა არავინ ინდომა.

ადგილობრივ ყველა ამის ასაწონ-დასაწონად მოსულია დღეს ბ-ნი ლა-მარკი. იგი და მასთან თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, თ. მ. ჭავჭავაძე და ბ-ნი კ. ყავრიშვილი, წამოსულან ავჭალიდამ, მოჰყოლიან მეორე გამოკვლევის მიმართულებასა და 23 ოქტომბერს ჩამოვიდნენ თელავში, სადაც თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დიმიტრი ერასტის ძის ჩოლოყაშვილის თაოსნობით შეიკრიბნენ თავად-აზნაურნი, ქ. თელავის მამასახლისი და მოქალაქენი. ამ კრებას ბ-ნმა ლა-მარკიმ მოახსენა: „მე, წარმომადგენელი ამერიკელ კომპანიისა, გამოგზავნილი ვარ 1) ადგილობრივ შევისწავლო კახეთის გზაზედ შედგენილი სხვა-და-სხვა გეგმა მიმართულებისა, 2) შევიტყო გადაწყვეტილი აზრი მცხოვრებლებისა, რომელს მიმართულებას ირჩევენ და 3) რამდენად დარწმუნებულია კახელობა რკინის გზის ეკონომიურად ნასარგებლო მომავალზედ. მოგეხსენებათ, ესრედ წოდებულ თავად-აზნაურთა გამოკვლევით გამოვა რკინის გზა ნავთლუხიდამ, გამოივლის სართიჭალისაკენ, საგარეჯოსკენ, ჩალაუბნის ხეობით შემოვა შიდა კახეთში, ბაკურციხესთან გამობრუნდება, ამოვა თელავს და გაჩერდება. შეიძლება ბაკურციხიდამ გაბრუნდეს და წავიდეს ზაქათალისაკენ; ხოლო თელავისაკენ ცალკე შტო გამოიტანონ ვიწრო გზისა.

მეორე, ესრედ წოდებულ, სიმბერგის გამოკვლევით გზა ავჭალიდგან იწყება, გამოივლის დუშეთის მაზრას, საგურამოს, ჩამოივლის ერწო თიანეთზედ, საყარაულოდამ შემოუხვევს, ილტოს ხეობაზედ გამოივლის, შემოვა შიდა კახეთში ახმეტასთან, გამოივლის აწყურზედ, თელავზედ, წინანდალზედ, ბაკურციხეზედ და საქობოში გაჩერდება, მინამ აიღებენ მეორე კონცესიას გზის განსაგრძობად, ლაგოდეხისაკენ, საიდანაც გაივლის ნუხზედ და შეუერთდება მთავარ-შტოს ევლახთან.

თავად-აზნაურობის გამოკვლევით თელავიდამ ტფილისამდის არის 167 ვერსი, მეორე გამოკვლევით 110 ვერსი.

თქვენ უნდა აირჩიოთ, როგორც მამულის მესაკუთრეებმა, ორში ერთი მიმართულება და ამასთან ისეთი, რომელიც სასარგებლო იქნება ყველასათვის. უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ერთი მეათედი გზის ღირებულებისა ანუ 10% აქციებათ იქცევა და ეს აქციები უნდა გაიყიდოს აქ, კახეთსა და ტფილისში. აქციების აქავე გაყიდვა დაარწმუნებს გზის მკეთებელთ, რომ იგი ეკონომიურად სასარგებლოა, რაც ძალიან გააადვილებს ობლიგაციების გასაღებას.

რადგანაც გზის ეკონომიურად სარგებლობისათვის სხვათა შორის მნიშვნელობა აქვს თვით გზის სიიაფეს და რადგანაც გზა იაფი მაშინ არის, როცა გაყვანა თვით გზისა იაფად ჯდება, ამიტომ კახელი მემამულენი უნდა შემეწივნენ გზის გამყვანთ, რომ გზა იაფად დაჯდეს, თავისის მამულის უსასყიდლოდ დათმობით. რადგანაც რკინის გზის გაყვანა საზოგადოდ ბევრად საუკეთესოდ სცვლის ქალაქების ვითარებას და თელავის შესახებ უფრო ბევრი საუკეთესო გარემოება მოარდება რკინის გზის გაყვანით, ამიტომ თელავმაც თავის მხრივ შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ამ საქმეს.

გაიმართა კამათი. ზოგთ გამოსთქვეს აზრი, რომ ჩვენ აქ შეკრებილნი ვართ ისეთ ადგილებიდამ რომლებსაც თ. ნ. ჭავჭავაძის და სიმბერგის გზა უფრო აახლოვებს ტფილისს, ვიდრე თავად აზნაურობის გამოკვლევით აღნიშნული, მაგრამ ესევე არ ითქმის იმათზედ, ვინც ჩვენიდამ აღმოსავლეთით სცხოვრობენ, მაგ. ურიათუბნელებზედ და იმათზედ იქით მცხოვრებელთათვის. რომ ერთი მიმართულება გზას აცილებს დუშეთისა და თიანეთის მაზრას, ხოლო მეორე მიმართულება—გარეთ კახეთს, რომ ნ. ჭავჭავაძისაგან აღნიშნული მიმართულება რკინის გზით სარგებლობას 63 ათას მცხოვრებელს მეტს ანიჭებს, ვიდრე თავად-აზნაურობისაგან აღნიშნული გამოკვლევა, რომ კახეთის რკინის გზის გაყვანა დაბრკოლებულია დღევანდლამდის კერძო კაცთა მეცადინეობით, რასაც ერთის მხრივ ჯიბრისა და მეორეს მხრივ პირადის სარგებლობის ხასიათი აქვს; რომ როგორც ქართლზედ გატარებული რკინის გზის ისტორია ჰმოწმობს, ტფილისიდამ 40—50 ვერსის მანძილზედ რკინის გზას სამეურნეო ნაწარმოების გადასაზიდად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვერ მოშალა რკინის გზამ მამა-პაპური ურემი, განსაკუთრებით საბაღოსნო და საბოსტნეულო ნაწარმოებისათვის, რომ დუშეთისა და თიონეთის მაზრები რკინის გზას გაუჩენენ ულეველ წყაროს ტყის ნაწარმოების ზიდვისას.

მიიღო რა კრებამ ყველა ზემორე საკითხებზედ გამოთქმული აზრი სახეში, გამოუცხადა ბ-ნ ლა—მარკს: 1) „რომ ადგილობრივნი მემამულენი, გარდა მემამულეთა მცირე რიცხვია, უსასყიდლოდ დაუთმობენ გზის ლიანდაგისათვის სახნავს, წარაფს, ტყეს, ხოლო ვენახს და გზის [illegible] დაუთმობენ უსასყიდლოდ; 2) რომ ამჯობინებენ თ-დ ნ. ჭავჭავაძისაგან აღნიშნულ მიმართულებას, რადგანაც ამ მიმართულებას ჯერ ერთი მეტად ფრიადი უპირატესობა ისა აქვს, რომ იგი მთავრობისაგან მიღებულია, მაზედ კონცესიის გაცემით და წესდების დამტკიცებით, მეორე—რომ იგი გვაახლოვებს ორსავე ზღვასთან, გვაახლოვებს ნუხის მაზრასთან, რომელთანაც კახეთს დიდი აღებ-მიცემობა აქვს, გვაახლოვებს დაღესტანთან სცხენისის გზით; ამ გზით ადვილად შეიძლება გავასაღოთ ჩვენი სამეურნეო ნაწარმოები ისეთ ბუნებით მწირ ქვეყანაში, როგორც დაღესტანია, რომელიც უხსოვარ დროიდამ ჩვენი მუშტარია, მაგრამ აქნობამდის ჩვენი ნაწარმოების მთებზედ გადატანა ერთი-ათად მეტი ღირდა, ვიდრე თვით ნაწარმოები, გვაახლოვებს პეტროვსკის რკინის გზას, რომლითაც შეიძლება, მთელი ჩრდილოეთ კავკასია ბაზრად გავუხადოთ ჩვენს ნაწარმოებს და პირდაპირი მიმოსვლა ვიქონიოთ მთელ რუსეთის იმპერიასთან, რომლის დიად სივრცისაგან წარმომდგარ სხვა-და-სხვაობას შევუფეროთ ჩვენი ნაწარმოები და სასარგებლო ბაზრად გადავაქციოთ; რომ სიმბერგის სტატისტიკური ცნობები ბევრში შემცდარია და უფრო-კი სასარგებლოდ გზის მკეთებელთათვის, ვიდრე მათ საზარალოდ, 3) რომ მზად არიან აიღონ აქციები შეძლების-დაგვარად, და თუნდა დღესვე გამართონ ხელის მოწერა.

თელავის მამასახლისმა გამოუცხადა, რომ თელავი ყოველ ღონის-ძიებას იხმარს ყოველივე და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს, რისაც შემძლებელია და სადამდისაც ხელი მიუწვდება.

კრება დაიშალა. მრავალნი ვახშმად მიიწვია თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, სადაც კახეთის რკინის გზაზედვე იყო ლაპარაკი.

მეორე დღეს დილით, ბ-ნმა ლა-მარკმა ბაზარი დაიარა, შეჰკრიბა ცნობანი, რამდენი საქონელი შემოდის თელავში, ან რამდენი იგზავნება და გაუდგა გზას თანამგზავრებით, რომელნიც ტფილისიდამვე გამოჰყოლოდნენ.

ნადიკვრელი.

ნარკვევი

ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება, მუდმივი არაფერია. მუდმივია მხოლოდ თვითონ ეს მოძრაობა, ეს ცვალებადობა და სხვა არაფერი, ცხოვრებაც იცვლება და მის მიხედვით უნდა შეიცვალოს ყველაფერი: ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება და კანონები. კანონი დაწერილია, სარწმუნოება შედგენილი. ცხოვრება მუდამ დღე იცვლება. კანონი-კი ერთხელ არის შედგენილი და დაწერილი. ყოველ დღე მისი წერა და შედგენა შეუძლებელიც არის. ცხოვრებას-კი უნდა, რომ კანონიც ყოველ დღე იცვლებოდეს. ეს არ ხდება და აი ცხოვრებასა და დაწერილ კანონს შორის იბადება წინააღმდეგობა, მწვავდება ბრძოლა და ვიდრე ცხოვრების მოთხოვნილებას მთავრობისაგან სანქცია ეღირსებოდეს, კაი ხანი გადის. ცხოვრება კაი ხანია თხოულობდა ცოლ-ქმრულ კავშირის შეცვლას, ქორწინე-

---

ყველაფერს მიაღწია მიტრომ თავისს ჭკუაში, გარდა რუსულის ლაპარაკისა, რომელშიაც ძლიერ კოჭლობდა და ესეც რომ სცოდნოდა ხეირიანად, ფერშალი ვინ ოხერი იქნებოდა მასთან.

IV

თავისს სილამაზით, შესანიშნავის ლეკურის თამაშით, დაირისა და მუზიკის დაკვრით მთელი სოფლის გოგოები და პატარძლები თითქმის დამონავებული ჰყავდა მიტროს და სარგებლობდა კიდეც თავისს ქვეშევრდომებით. გასათხოვარ ქალებს ჯერ გაუარშიყდებოდა, სულს და გულს აულიტინებდა, თავს შეაყვარებდა, გააგიჟებდა. კოცნით, კბენით, ჩქმეტით სულს ამოაძრობდა, მაგრამ გაუპატიურებას-კი ვერ ჰბედავდა.

— რას ამბობ, კაცო, იტყოდა ხოლმე ძმა-ბიჭებში ერთიც ვნახოთ დამძიმდეს, მერე სად ეშმაკებში წახვალ, ა? მოდი და შეირთე, ჭედილაანთ მიტრო, ყველა ბრუნდი და მართალი მაშ, არა? ჯერ გათხოვდეს და მერმე მე ვიცი!

ასეც იქცეოდა. გათხოვებამდის ნიადაგს მოამზადებდა, გათხოვდებოდა და მართლაც იმსხვერპლებდა, რა თქმა უნდა ყველას არა მაგრამ, იმან იცოდა ვის ასტორღიალებოდა და არცა სტყუვდებოდა თავისს არჩევანში.

საზოგადოდ ქალებსძალიან ადვილად აწონებდა თავს. ყოველ კვირაობით, სამხრობისას, ჩამოუვლიდა კარ-და-კარ თითეულ გოგო-პატარძალს.

— ტუკუნი! წავიდეთ გალავანში სათამაშოთაო, გადასძახებდა. მოუყრიდა ერთ რომელსამე ოჯახში ყველას თავს და მთელის თავისი მხედრობით გაემართებოდა ეკკლესიის გალავნისაკენ საჩინდრიკოთ.

— აი ამიტომაც დაარქვეს სოფლელებმა ქალების პოლკოვნიკი. ქსენონის დაარსების შემდეგ მიტრო ერთი-ორად გაიზარდა ხალხის თვალში, უფრო-კი ქალებისაში. მამაკაცები ზოგი შურით უყურებდნენ, ზოგი მუქარით, ზოგი დაცინვით. ისე გაიტაცა რიგიანად ჩაცმა-დახურვის სურვილმა, რომ რასაც-კი შოულობდა, სულ თავისს მორთულობას ანდომებდა, და ამან დაჰბადა მის ოჯახში შუღლი; იმის მშობლებს აუხირდნენ დანარჩენი ოჯახის წევრნი: ან ფული შემოიტანოს ოჯახში, ან ჩვენთან ერთად იმუშავოსო.

— ადამიანებო! გშურთ ჩემი შვილი, იმ აფთრიაქხანაში რომ არის? მოიცათ, კაცებო, ცოტა და, საცაა, ჩემი მიტრუა ფერშლობას დაიმტკიცებს. რაღა უკლია? ამ კორტოხელ ფერშლებს არაფერში ჩამოუვარდება ეხლაცაო—ამშვიდებდა მიტროს დედა მელა აღელვებულ ოჯახის წევრთ. მელა ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი შვილი მალე გაფერშლდებოდა. მიტროს მამა აზარია-კი სულ გაჩუმებული იყო, რადგან იმის აზრს მაინცა და მაინც არავინ იზიარებდა ოჯახში. იმ თავითვე მელას ჰყავდა ჩაბღუჯული, ასე იქცეოდა, როგორც მოურავს, თუმცა აზარია ძლიერ პატიოსანი კაცი იყო მთელ სოფელში. საცოდავი მუდამ ჩუმად იყო, ხმას ამოიღებდა მხოლოდ მაშინ, როცა დიდ სისულელესთან უსამართლობას ჰხედავდა და თავისი მტკიცე სიტყვით ბევრჯელ გაუწიწმატებია მელაცა და მიტროც, რისთვისაც საცოდავ მოხუცს მაგარ მაგარ მუშტებსაც მიადებდა ხოლმე გაიძვერა დედისაგან წაქეზებული და თითონაც გასალახნებული მიტრო.

ოჯახის გადაკიდებამ მიტრო თუმცა ძლიერ გააბრაზა, მაგრამ იძულებული შეიქნა მომჭირნეობა გაეწია და მართლაც დაუწყო ფულებს ქუჩება. გარდასწყვიტა, რაც შეიძლება მალე გაჰყროდა ოჯახს.

— რა გულ-ღვაძლიანები არიან! ოჰ, ღმერთო ჩემო! რატომ შურთ ჩემი განათლება ამ ტვინ-დამთხვეულებს? ვერა ხედავენ როგორ მოვჰკაზმე ოჯახი? მერე და რო გავეყრები, ხო წავიღებ ჩემ ვენსკი სკამებს, პოვეტების კარტიჩკებს, კამიოდს, შტოლებს და სხვას, უთხრა ერთხელ დედას.

— თვალი მაგათაც დაუდგეთ, შვილო, და მათთან დარჩომის მსურველსაც,—უპასუხა მელამ.—შვილო, ფერშლობა ხო მიიღე და მიიღე, ეხლა-ღა დაგვრჩენია დოხტურობა ზედ მიატოლო, გენაცვალოს დედაი! მაშინ ბარემ შაგვეხეწებიან კიდეც, შეგვიერთდითო, მაგრამ უწინამც დღე გაჰქრობიათ. შვილო, მომეცი პირობა, რომ ორი წლის შემდეგ დოხტურობით გამაბედნიერებ.

— ეჰ, დედი, მაგაზედ ნუ დამიღონდები, დოხტურობას ერთი ნაბიჯი-ღა მიკლია. მაშ!

— მაშ, მეც მაგრე ვფიქრობ, ჩემო ბიჭუნავ! დოხტურებიც ხომ წინად შენსავე „სტოროჟები“ იქნებოდნენ. მერმე მიიღებდნენ ფერშლობას, მერმე დოხტურად გამხდარან.

მიტროც ეთანხმებოდა დედას და მართლა შეეპარა გულში სურვილი, უზომო სურვილი „დოხტურად“ გახდომისა.

მოაგროვა რა მიტრომ ერთი ათიოდე თუმანი, მოიწადინა ფულის სარგებლით გასესხება სოფლადვე, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ მხრივ მისი ფული საარაკოდ იბარტყებდა. ეს ჭკუა „ნახაზეინარისაგან“ ჰქონდა ნასწავლი.

გარდასწყვიტა-კი, მაგრამ ვერ შეასრულა ერთის მოულოდნელ გარემოების მიზეზით. იმ დღეებში ექიმს დასჭირდა 7—8 თუმანი; რადგან ვერსად ვერ ეშოვა, ძლიერ იყო გაბრაზებული, სულ დორბლებსა ჰყრიდა.

— კაცმა რვა თუმანი ვერ იშოვოს? ვუი ასეთ ყოფასაო,—ჯავრობდა ექიმი. მისი ხელქვეითები გრძნობენ, რომ ექიმი იმ დღეს ყველას შეახურებდა და დაღონებულები ერთი მეორეს შესცქეროდნენ; საუბედუროდ, იმ დღეს აუარებელ ავადმყოფს მოეყარა თავი. აივანზედ ტევა არ იყო და ძირს, ფართო და ამწვანებულ ეზოშიაც, კარგა ბლომად ისხდნენ მიწაზე.

როცა ექიმი ასე გაწიწმატებული იყო და ქსენონის აივანზედ გაანჩხლებული ბოლთასა სცემდა, გამოხტა მიტრო, ამოიღო უბიდან პორტმონე და მიაწოდა ექიმს ათი თუმანი.

— გოსპოდინ დოხტურ, იზვოლიტეო!—მოახსენა ღიმილით და კოხტად გამოეწკიპა. ექიმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ისე გაეხარდა, ისე, ისე, რომ მიტროს ხელიც-კი ჩამოართვა იმოდენა ავადმყოფებში. ამ შემთხვევამ ხომ სულ გაუთქვა მიტროს სახელი. შეიძრა აივანი, შეიქნა ერთი ჩურჩული.

ვინ არი, ვინ არი ეს ყმაწვილი? რა მიღებული ყოფილაო! კითხულობდნენ აქეთ-იქიდან.

— ფერშალია, მა რა ოხრობაა, ბიჭო,—ამბობდა ერთი.

— რა უჭირს, შვილოსა, აფთრიაქხანა წორედ მაგითვინ გამართეს აქაო—ამბობდა მეორე.

ერთმა ვერ მოითმინა და მიაძახა მიტროს.

— მიტროვ! ა, მიტროვ! შენ რომ დაიბადე, ბებია შენმა ზურგზე ხელი დაგკრა და ყისმათიანობა გადმოგილოცა! ასე მიუალერსა იმ ვიღამაც მიტროს და რაღაც უხერხულად ჩაიცინა, თითქოს ენანებოდა, ასე რად მოვიქეციო.

მიტროს თავმოყვარეობა ვარდ-ყვავილებში გაეხვია, უკვდავების წყაროს დაეწაფა და ისე გაძღა, ისე გაიღლენთა, როგორც წყალში ამოვლებული ღრუბელი. მერე რა ქალები იყვნენ აივანზე, რა ანგელოზნი, რა მგზნებარე თვალებით უყურებდნენ გამარჯვებულ მიტროს? მიტროს თავს რეტი დაესხა და ასე რეტ-დასხმული შევიდა დარბაზში.

გლეხები ისევ აყაყანდნენ და ეხლა სულ სხვა გვარად მიამართეს ჩანგი.

— რა არი ვითომა, ა? ე, ჭედილაანთ ბიჭი, რა გახდა ახლა? ჯვარი ხო არ დაუწერია ამ დოხტურ-ფერშლებზედ. კმარა, ძმაო, რაც ჭამა, ახლა სხვასაც დაანებოს,—წამოიძახა საბედაანთ ხატომ.

— მართალია ხატო, მართალია,—უპასუხეს აქეთ-იქიდამ.

— მოდი, გიო, შევყაროთ ყრილობა კანცელარიაში და დავადგინოთ რიგ-რიგობა აფთრიაქხანაში,—ამბობდნენ ზოგნი,—მაგრამ ეგ ხომ ქვიშაზედ წყლის ნაყვა იყო, მიტროს დარჩა ბურთი და მოედანი, მორჩა და გათავდა.

მეორე დღეს რომ მოვიდა ექიმი ქსენონში, ფერშლებსა და ბებია ქალს, ჩვეულებისამებრ, ხელი ჩამოართვა, მიტროს-კი მარტო ორი თითი აუქნია მაღლა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, გარეშე არავინ უყურებდა. უსამართლო და შეუბრალებელი ექიმი! რატომ არ ჩამოართვა ხელი მიტროს?!

მერე რა სულითა და გულით სწადდა საწყალს. ეეხ! ასეა ბედ-უკუღმართ ჩარხის ტრიალი!

მიტროს ამ გარემოებამ ძლიერ ატკინა გული და ექიმის წასვლის შემდეგ ბევრს ედავა ფერშლებს:

რაო ვითომა? ან გუშინ რად მართმევდა ხელს, ან დღეს რატომ არ ჩამომართვა? მოიცადოს, კვლავაც მიიღებს ჩემგან ათ თუმნიანებს. როცა საჭირო ვართ, მაშინ კარგები ვართ, რაღა! ჰჰააა!

ტრ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის რეფორმას, ქორწინების უფლების შეცვლას და ოჯახის თვითეულ წევრის პირადს თავისუფლებას. მაგრამ დღევანდლამდე ამ ანორმალურ მდგომარეობისათვის არავის მიუქცევია ყურადღება... დღეს-კი თვითონ სახელმწიფო საბჭო დაინტერესებულია ამ საქმეში და პროექტია წარდგენილი საქორწინო უფლებათა რეფორმის შესახებ. „С.-Пет. Вѣд.“-ში ნ. ა—ს. წერილია დაბეჭდილი ამ საგანზედ. ბატონი ნ. ა. ისტორიულად არჩევს დღევანდელს არსებულს კანონს ჯვარის წერის შესახებ, ამ კანონთა წარმოშობას, მათს განვითარებას და უვარგისობას.

მთელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში—ამბობს ავტორი—არ ყოფილა არც ერთი მომენტი, რომ მწერლობას და საზოგადოებას არ გამოეთქვას უკმაყოფილება ოჯახურ დავიდარაბისა და მოუწყობლობის შესახებ. ამას თხოულობდა თვითონ ცხოვრება, დიაღ, ცხოვრება!

ძნელი წარმოსადგენია, რა შესაზარს და საშიშარს სიმხეცეს მოიქმედებს ხოლმე გლეხი ოჯახში. ხალხის ცხოვრების ზნე-ჩვეულებათა ყველა გამოკვლევანი და მსაჯულთა პრაქტიკა გვეუბნება, თუ სადამდის მიდის ქმრის სიმხეცე და ძალ-მომრეობა გლეხის ცხოვრებაში. აი, ზოგიერთი სურათი ქმარის სიმხეცისა და ძალ-მომრეობისა: ერთი ქალი სჩიოდა, რომ ქმარმა თმები სრულიად დამგლიჯაო; მეორე,—ქმარი „სრულიად უმიზეზოდ მცემსო“; მესამე,—ქმარი „ჯერ გამატიტვლებს კარში და მერე უწყალოდ დამიწყებს ცემასაო“; მეოთხე,—ქმარი „შემდგება გულზე და ლურსმნიან ჩექმებს მცემს ცხვირსა და პირშიო“, მეხუთე,—ქმარმა „მკრა სილა, წამაფრინდა თმაში, მცემა სასიკვდილოდ, და შემდეგ ცხვირ-პირით მიწას დამანარცხა, რომ არ მეყვირაო“. ცოლი ქმარს უსაყვედურებს, ნუ ლოთობ, როცა სახლში ლუკმა პური არ მოიძებნებაო, ქმარი გაჯავრდა, მიხურა ქოხის კარები, ჩამოაცვა ცოლს კისერზე ჯაჭვი და დაუწყო ცემა. ამგვარად აწამა მთელ ნახევარ საათს. ცოლს გრძნობა დაეკარგა, ხელი ელრძო და მთელი დღე სისხლის მორევში სცურავდა. როცა გონს მოვიდა, კაბა გახდილი ჰქონდა—ქმარს გაეხადნა, გაეყიდნა და არაყი გადაეკრა და მრ. სხ.

შემდეგს ავტორს მოჰყავს მაგალითები ქალაქის ცხოვრებისა, რომ ამ გვარი სურათები განათლებულებშიაც არა ახალია, ძველიაო; ქალაქს ამ შემთხვევაში სოფლისთვის წინ არ გაუსწრია, რომ ყველაფერი ეს არსებული კანონის უვარგისობის ბრალიაო.

ავტორი შემდეგ განაგრძობს:

„კანონი ობობის ქსელია: ძლიერი ბუზი არღვევს და თავს აღწევს, სუსტი, უძლური-კი, შიგ ებმება. ძლიერი ადამიანი თავისი სიფლიდით, ყოველთვის კანონს თავისს სასარგებლოდ იყენებს და ქორწინებას, როგორც სოციალურ დაწესებულებას, ბატონ-ყმობად აქცევს.

სუსტი ბუზი ობობას ქსელის კანონში იხლართება. აბსოლიუტური, განუსაზღვრელი ჯვარის წერა არ აძლევს ქალს არავითარს ღონის-ძიებას თავის დასაღწევად. მას ერთის ნება აქვს—მთელი თავისი ოჯახური ცხოვრება დაუსრულებელ ტანჯვა-წვალებაში გაატაროს. ეს სოციალურ უკუღმართობის ერთი რეაქციათაგანია, რომელიც განმტკიცდა და აღმოცენდა მხოლოდ მე-19 საუკუნეში. ეს რუსეთის ისტორიის დაცინვაა: ბატონ-ყმურ ქორწინებას მაშინ დაედვა საფუძველი, როცა თვითონ ბატონყმობას ძირი გამოეთხარა... როცა ის ერთბაშად დაიმსხვრა და დაილეწა.

ამ გვარად ისტორიის მიერ წამოყენებულ კანონს თვითონ ისტორიავე მოუღებს ბოლოს; ქორწინების უფლება დღევანდელ საზოგადოებრივ ფორმაში ვერ მოთავსდება. დედ-კაცთა დამონებას ბოლო იგი უნდა მოეღოს; ბატონყმობას სინდისის აზროვნობის საქმეში საზოგადოება ვერ მოითმენს, იგი უნდა განადგურდეს, როგორც ქონებრივსა, ისე გონებრივს და სულიერ სამთავროშიაც.

ბიბლიოგრაფია

„გოგიას საცოლე“, სამ მოქმედებიანი ვოდევილი, შედგენილი და გამოცემული ვასილი მერაბის ძის ლომინაძისაგან. ქ. ბათუმი.

სწორედ შესაბრალისნი ვართ, მკითხველო, ზოგიერთ ვაჟბატონებისწყალობით, რომლებისთვისაც ღმერთს არც ნიჭი და არც უნარი წერისა არ მიუცია, მაგრამ მაინც, ძალად-მაცხონესავით, მწერლობას ჩემობენ, უმზგავსო ნაწარმოებით გვიმასპინძლდებიან. ერთ-ერთ ამგვარ ავტორის ნაწარმოებია ზემო დასახელებული ვოდევილიც.

ბ-ნ ლომინაძის ვოდევილი განსვენებული ა. ცაგარლის ვოდევილების უშნო წაბაძვაა. ავტორს დავიწყებია, რომ წაბაძვასაც ნიჭი უნდა და მასთან ქართული ენის ცოდნაც საჭიროა. თავში სწერს, სცენა სწარმოებს იმერეთშიო. არ გვგონია, ეხლა სადმე იმერეთში ისე დამახინჯებულად ლაპარაკობდნენ, როგორც ავტორის წიგნშია. ეს ვოდევილი ათის წლის წინად რომ დაწერილიყო, კიდევ ჰო, ეხლანდელ დროისა-კი არც მისი შინაარსია და არც ენა. ყველამ კარგად იცის, რა ნაარად თან-და-თან წინ მიდის ქუთაისის გუბერნია, განსაკუთრებით გურია და მერე იმერეთი. თითქმის ყველა სოფლებში არსდება სკოლები, სამკითხველო, იმართება სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენები და სხ., ერთის სიტყვით, სოფლებს გაღვიძება ეტყობა, ყველა ამას, მოგეხსენებათ, ენის შემუშავებაც მოსდევს. ბ-ნ ლომინაძეს-კი, სამწუხაროდ, ეს ვერ შეუმჩნევია. გვაკვირვებს, რატომ დაბეჭდვამდის დრამატიულ კომიტეტს არ წარუდგინა, შეიძლება ჯილდოს ღირსადაც ეცნოთ!

ნუ-თუ, მკითხველო, აბუჩად არ გვიგდებენ, როცა ამისთანა უშინაარსო და უაზრო ნაწერებს გვაწვდიან?

თუ არ ვსცდები, მგონი, ბ-ნ ლომინაძის ეს პირველი შრომა უნდა იყოს. შეიძლება მეორე და მესამე უფრო კარგი გამოუვიდეს. ღმერთმა ჰქნას!

—ძე.

წერილი
რედაქციის მიმართ

მოსკოვის გაზეთებმა ამ ცოტა-ხანს დაბეჭდეს შემდეგი ცნობა: „ბ-ნმა არაქჩიევმა, რომელმაც ამ ზაფხულს მოიმგზავრა ამიერ-კავკასია, ფონოგრაფის შემწეობით შეჰკრიბა 150 სიმღერა და ახლა ამათ შესახებ ამზადებს მოხსენებას, რომელსაც წაუკითხავს ეტნოგრაფიულ საზოგადოების კრებაზედ“.

სწორეთ კვირის სწორს ამის შემდეგ მოსკოვიდგან გაზ. „ნოვისტს“ მოაწოდეს შემდეგი ცნობა: „მემუსიკე-კავკასიელმა არაქჩიანცმა ამ წელს მოიმგზავრა კავკასია, შეაგროვა 150 სიმღერა, რომელთა შესახებ წაიკითხავს მოხსენებასაო“.

ვსწუხვარ, რომ „ნოვოსტის“ რედაქტორს დროზედ ვერ შევატყობინე, როგორ შეიყვანეს იგი შეცდომაში; იგივე შეცდომა გაიმეორა თქვენმა გაზეთმა (№ 218) და აგრეთვე ზოგიერთ სხვა გაზეთებმაც. ვის და რისთვის მოუნდათ ჩემის გვარის სომხურად გადაკეთება (იანცად) და მკითხველების შეცდომაში შეყვანა,—მე აქამდის ვერ გამიგია.

დ. არაქჩიევი (არაყიშვილი).

ვსთხოვ გაზეთებს გადაჰბეჭდონ ეს განცხადება.

„ივერიის“ ფოსტა:

ს. პატარა ფოთი. პ. უ—ს. თქვენი ლექსი „სასოწარკვეთილება“ არ დაიბეჭდება.

გორის-პირელს. თქვენი ლექსი „მიმავალს“ /არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

29 ოკდომბერი

ლონდონი. ბალფურმა მწუხარება გამოაცხადა სალისბიურის სამსახურისაგან გამოსვლის გამო და დასასრულ სიამოვნებით აღნიშნა მშვიდობიანობის დამყარების ამბავი. სახალხო განათლებისთვის შედგენილი კანონპროექტი—ერთად-ერთი საყურადღებო საგანია საშინაო პოლიტიკისა. სამხრეთ-აფრიკის ომი პასუხად შეიქმნა ორის კითხვისა: ჰსურს ინგლისის ერს, მშვიდობის დასაცველად, მზად იყოს საომრად და ინგლისის ახალშენები მზად არიან იომონ იმპერიისთვის? ბალფური აღნიშნავს იმპერატორის ვილჰელმის მიერ ინგლისის ნახვას და უარ-ჰყოფს განიხილოს მწერლობის ოცნებანი, გამოწვეულნი ამ შემთხვევით. სომალიაში გალაშქრების საქმეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს და საყურადღებოა მხოლოდ მით, რომ გვიჩვენებს მეგობრულს გრძნობებს ინგლისისადმი იტალიის მხრივ და მის მიერ მზად ყოფნას საერთო სარგებლობისათვის ერთად საბრძოლად.

ლილლი. 5,000 მუშამ ჩრდილოეთ ხეობაში დაიწყო მუშაობა ქვა-ნახშირის მადნებში.

კოპენჰაგენი: ხელმწიფე მემკვიდრე რუსეთს წაბრძანდა. რკინის გზის სადგურამდე გააცილეს ხელმწიფე იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა, მეფემ, სამეფო გვარეულობის წევრებმა და რუსეთის მისიამ.

ყაზანი. ნავების სვლა შეჩერდა.

ნიუ-იორკი. მოლაპარაკება კოლუმბიასთან პანამის არხის შესახებ ბოლოვდება.

ბუქარესტი. მეფე წავიდა რუშჩუკს. მასთან ახლავს მინისტრ-პრეზიდენტი სტურძა, გარეშე საქმეთა მინისტრი ბრატიანო და ეგერის ბატალიონის წარმომადგენელნი, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა გრივიცის აღებაში.

პეტერბურგი. „კანონდებულებათა კრებულში“ გამოცხადებულია ცნობა შესახებ სამიჯნო ადგილის სივრცისა, რომელთა მცხოვრებლებს, რომ მიჯნას გასცილდნენ, ეძლევათ სალეგიტაციო ბილეთები.

30 ოკდომბერი

პეტერბურგი. „Прав. Вест.“-ი იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება მიეთვისოს შინაგან საქმეთა მინისტრს პლევეს, მუშჩროვსკში დაბადებულს, წოდება ამ ქალაქის საპატიო მოქალაქისა.

რუშჩუკი. მეფე კარლოსი მოვიდა. მიეგება მთავარი, მისი ძმა ფილიპე, მინისტრები და ჯარი. საღამოზედ სადილი იქნება გამართული, ხოლო ხვალ დანიშნულია წასვლა გრივიცას და პლევნას.

ორიოლი. გარდაცვალებულმა საერობო მოღვაწემ მიტინმა შესწირა საერობო სასოფლო სამეურნეო სკოლას 14,000 მან. და დასაწყისს სკოლას, მის სახელობაზედ დაარსებულს, 6,000 მან. და $2^1/_2$ დესეტინა მიწა.

ფეცი. აჯანყებულთა წინამძღოლი დიდის რაზმით დაესხა თავს მროკკოს ჯარს; სულთნის ჯარმა სძლია და წინამძღოლი ლტოლვილ იქმნა.

რუშჩუკი. რუმინიის მეფე მოვიდა გემით „ორიანტით“. მიეგებნენ: მთავარი, მინისტრები და კრების თავმჯდომარე. პასალმების სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის უფროსმა და აღნიშნა გულითადი ურთიერთობა მეფესა და მთავარს შორის. ქალაქის მოურავმა პურ-მარილი მიართვა. მეფემ დაათვალიერა ქალაქი და მიიღო სადიპლომატო კორპუსი. საღამოზედ სადღესასწაულო სადილი იყო.

სოფია. აჯანყებულთ ჯუმაიის ოლქში მიუღეს დახმარება ამუნიციითა და ხალხით.—ცონჩევი უკეთ არის და ყოველ-დღე თანაგრძნობის წერილებს იღებს.—რილას ახლოს დაბინავდნენ მაკედონიიდან გამოხიზნულნი, რომელნიც ბაშიბუზუკებს გამოექცნენ; დიდს სიღარიბეში არიან. აქაური სლავიანთა საზოგადოება უგზავნის ტანისაცმელს.—რაზლოგს იქეთქა აჯანყებამ სანდანსკის წინამძღოლობით. 26 ოკდომბერს ბოლიცს იყო შებრძოლება. ოსმალთ მოკლეს და დაუჭრეს ასი კაცი. სანდანსკიმ დაიპყრო ბელიცა. ოსმალნი გარს შემოერტყნენ. იასევისა და ლევტეროვის რაზმები გაემართნენ გარშემორტყმულთა გადასარჩენად.

ჰელსინგფორსი. სენატმა ბრძანა შედგენა რეფორმის პროექტისა ქალაქის პოლიციისათვის რუსეთის სიმუშისამებრ.

პეტერბურგის ბირჟა, 29 ოკდომბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,25
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^1/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^1/_2$ გაყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$290^1/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$84^5/_8$ გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,950 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	500 წვრ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	4,750 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	432 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	217 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

სასამართლოს შესახები ცნობანი

ტფილისის სამოქალაქო 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

2 ნოემბრისათვის 1902 წ.

1. ნიკოლოზ ფხაკაძისა და ალექსანდრე ქუთათელაძის დავა 300 მანეთზედ.
2. დავით დევდორიანისა და პეტრე დალაქიშვილის საქმე.
3. ლაზარიკა და უთუია ცირკვავათა და შარვან აბრამიას საქმე.
4. დანიელ, აბრამ, ისაკა, შაფათა, ფაფაილა და სხ. ხანანაშვილების და ნესტორ ქვარიანის საქმე.
5. ელისაბედ დოლობერიძისა და ტერეზია მამაიშვილის საქმე.
6. გაბო, მელიტონ და სხ. პიპინაძეთა და ალექსანდრე და სხ. კანდელაკების დავა.
7. ივანე კორინთლის და დავით სარაჯიშვილის დავა.
8. დავით კვირკელიას და თავ. ლევან და კოწია ანჩაბაძეთა საქმე.
9. ნესტორ მხეიძესი, როსტომ, სისო და სხ. კანტურიძეთა, ადნეზუ და გიორგი გოგებაშვილებისა და სიმონ და გერასიმე ვარდასანიძეების საქმე.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

13-ს ნოემბერს 1902, საღამოს 8 საათზე **ტფილისის სომეხთა ნერსისიანის სემინარიის მზრუნველისაგან** 1903 წ. 1 იანვრიდგან გაიცემა იჯარით ოთხის წლის ვადით

18 დუქანი შვიდის სარდაფით,

რომელიც ეკუთვნის ამ სემინარიას და რომელიც იმყოფება მესამე უბანში, რუსის ქუჩაზე.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ მზრუნველობის კანცელარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, 10 საათიდგან 1 საათამდის. (3—3)

GRAND PRIX
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Парфюмерія

„Царскій Верескъ“

გამგეობა ნავთის მწარმოებელ ამხანაგობისა

„მზეთა“

აუწყებს ბბ-თ ამხანაგთ, რომ კვირას, 3 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

საგანგებო კრება.

განსახილველი საგნები:

1) განცხადება სამთო დეპარტამენტისა შესახებ ზოგიერთ შეღავათის მისაცემათ სახელმწიფო ნავთის მიწების მოიჯარადრეთათვის.

2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება.

უკეთუ არ შეიკრიბა კანონიერ წევრთა რიცხვი, იმ შემთხვევაში კრება დაინიშნება 10 ნოემბერს, 10 საათზედ, რომელიც ჩაითვლება კანონიერად. (2—441—2)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова		„ 30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова		„ 60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили		„ 20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе		„ 10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ფეროვილეთა
და ახალ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.

გაფრთხილება!

კომპანია გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აზიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები; ამასთანავე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა და სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, სადაც მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველს პირველ მოთხოვნილებისამებრ. (7—6)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამორჩევნად.

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 октября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.